სკოლის დასახელება	ქ.ქუთაისის #23 საჯარო სკოლა
მასწავლებელი	სოფიო გაგოშიძე
ნაწყვეტი წიგნიდან	https://indd.adobe.com/view/cfc9f227-b9a8-4503-bcad-00d5e71046b5?fbclid=IwAR28w1hqg3k5vUrMaSiUUVo2iOkEdEWXzRWuyqS5ax2Z1DPtRNmhluAvcbM „ცნობილი ხუთეული“ (წიგნი მეათე)- ენიდ ბლაიტონი - თავი მესამე. „სოფლად“
სწავლების საფეხური/კლასი	დაწყებითი საფეხური/ VIკლასი
მისაღწევი შედეგები	✓ ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის გაგება. ✓ კომპოზიციის ელემენტების გამოყენება. ✓ პერსონაჟის თვისების,ქცევის,ხასიათის ამოცნობა. ✓ ტექსტში მოცემული ინფორმაციის გამოყენება ნაწარმოების ახალი ფორმით წარმოსადგენად. ✓ ნაწარმოებთან დაკავშირებული ახალი იდეების გენერირება. ✓ ჟანრული მახასიათებლების ცოდნის გამოყენება მიზნის შესაბამისად. ✓ ლექსიკის ცოდნის შემოქმედებითად გამოყენებას მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ✓ შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემული ამბის გავრცობას.
წინასწარი ცოდნა	მოსწავლეები გაეცნობიან ✓ სხვადასხვა დროს დაბეჭდილ ინტერვიუს ცნობილ ადამიანებთან.დააკვირდებიან მათ სტრუქტურას ,სასვენ ნიშნებს, სტილს (მზადება აქტივობა #1-ისთვის) ✓ განიხილავენ „პირად დღიურს. (რა დანიშნულებისაა, უწარმოებიათ თუ არა როდესმე?) ✓ გაეცნობიან „ანა ფრანკის დღიურს“ (რომელიც დაეხმარება უკეთ შეასრულონ აქტივობა #3) ✓ გაიხსენებენ კომპოზიტებს, ეპითეტებს, სინონიმებსა და ანტონიმებს, იშვიათად ხმარებულ სიტყვებს (მზადება აქტივობა #2-ისთვის)
აქტივობების თანმიმდევრობა და დრო (შეგიძლიათ, არ შემოიფარგლოთ ერთი გაკვეთილით და აქტივობის განხორციელებისთვის რამდენიმე დღე გამოიყენოთ, თუმცა	მოცემული 3 აქტივობის ჩატარებას დასჭირდება დაახლოებით 5-6 საათი. აქტივობის თანმიმდევრობა ასეთია: ✓ **„წარმოსახვითი ინტერვიუ პერსონაჟთან“** ✓ **„წინასწარ მოცემული სქემატური მონათხრობის გავრცობა“**

<table>
<tr><td>დეტალურად გაწერა არ არის საჭირო)</td><td>✓ „პერსონაჟის დღიური“</td></tr>
<tr><td>აქტივობა 1
„პერსონაჟის დღიური“</td><td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr>
</table>
აქტივობის აღწერა
• მოსწავლე წარმოიდგენს თავს ერთ-ერთი პერსონაჟის, ჯორჯის,ადგილას.თოთქოს პერსონაჟი აწარმოებს პირად დღიურს. მასში გადმოსცემს ლაშქრობისას მიღებულ შთაბეჭდილებას,ემოციას.მაგ.
როგორ აღაფრთოვანა „კურდღლის გორაკმა.“ როგორ განიცადა ტიმის გაუჩინარება და შემდეგ - ძაღლის გულისწამღები წკმუტუნი.მოსწავლე დღიურის ჩანაწერებს ათარიღებს. შეუძლია გააფორმოს ნახატებით.

აქტივობის მიზანი
• მოსწავლემ შეძლოს ტექსტში მოცემული ინფორმაციისა და პირადი ცოდნა-გამოცდილების დაკავშირების საფუძველზე ტექსტის მნიშვნელობის ახსნა, მოვლენათა წარმოდგენა განსხვავებული ფორმით/კუთხით. (მოსწავლეს ამ დავალებით უვითარდება ამბის ინტერპრეტირების, წარმოსახვისად შემოქმედებითობის უნარი)

• მოსწავლემ შეძლოს ტექსტის გაგების საფუძველზე სათანადო დასკვნების გამოტანა პერსონაჟის შესახებ. (პერსონაჟის თვისებებზე, ემოციებისა და ქცევაზე დაკვირვება)

• მოსწავლეს შეძლოს ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა; ჟანრული მახასიათებლების ცოდნის გამოყენება მიზნის შესაბამისად. (პირადი დღიურის წარმოება)
</td></tr>
<tr><td>აქტივობა 2
„წარმოსახვითი ინტერვიუ პერსონაჟთან“</td><td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr>
</table>
აქტივობის აღწერა

მოსწავლეები წარმოიდგენენ, რომ საინფორმაციო სამსახურის ჟურნალისტები არიან და შემთხვევით წააწყდებიან მოლაშქრეებს.თვითმხილველი გახდებიან: კურდღლების გორაკის ხილვით აღფრთოვანებული, მხიარული ჯულიენის,
</td></tr>
</table>

ყველაზე წიგნიერი

<table>
<tr>
<td></td>
<td>ღორმუცელა დიკის, ჯორჯის დარდის, რომელიც ტიმის გასაჭირმა გამოიწვია და სხვ.
შეარჩევენ მათთვის საინტერესო პერსონაჟს (დიკი/ჯორჯი/ჯულიენი), მოირგებენ ჟურნალისტის როლს და ჩამოართვემენ მას ინტერვიუს - დაუსვამენ 5-8 შეკითხვას და დაწერენ სავარაუდო პასუხებსაც.

მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ:

• კითხვები მიმართული უნდა იყოს იმგვარი ინფორმაციის მიღებაზე, რომელიც ტექსტში არ არის მოცემული;
• ნაწარმოების შინაარსობრივი მხარის: პერსონაჟის თვისებების, შინაგანი სამყაროს,ფასეულობების ცოდნა;
• როგორია პერსონაჟის მიმართება ნაწარმოების სახვა პერსონაჟებთან

აქტივობის მიზანი

• მოსწავლემ შეძლოს ტექსტის გაგების საფუძველზე სათანადო დასკვნების გამოტანა პერსონაჟის შესახებ.(პერსონაჟის თვისებებზე ,ემოციებისა და ქცევაზე დაკვირვება)

• მოსწავლეს შეძლოს ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა; ჟანრული მახასიათებლების ცოდნის გამოყენება მიზნის შესაბამისად. (ინტერვიუს ჟანრული მახასიათებლების გაცნობა.)</td>
</tr>
<tr>
<td>აქტივობა 3
,,წინასწარ მოცემული სქემატური მონათხრობის გავრცობა“</td>
<td>
<table>
<tr><td>აქტივობის აღწერა</td><td>აქტივობის მიზანი</td></tr>
</table>
აქტივობის აღწერა

მოსწავლეები ყურადღებით კითხულობენ ტიმის ხვრელში გაჭედვის ეპიზოდს: „ტიმსაც ძალიან უნდოდა ხვრელიდან ამოსვლა, მაგრამ არ შეეძლო, რაც უფრო მეტად ცდილობდა, უფრო და უფრო ეფლობოდა. ყველა სიკეთესთან ერთად ზურგით უზარმაზარ ხის ფესვსაც გამოედო და საბოლოოდ გაიჭედა.“
მონათხრობზე და ყრდნობით წარმოიდგინენ და უფრო ვრცლად დაწერენ „ტიმის ამბავს“ ამბავს დაასათაურებენ.
<u>ნამუშევარში:</u>
• მოიფიქრებენ და წარმოაჩენენ ახალ დეტალებს (მაგ., როგორი იყო ადგილი, სადაც მოხვდა ტიმი, როგორ განწყობაზე</td>
</tr>
</table>

ყველაზე წიგნიერი

	იყო ცხოველი, სანამ ხვრელში ამოჰყოფდა თავს, რას აკეთებდა და ვისთან ერთად იყო ის და ა.შ.) მოსწავლეები ამბის შექმნისას გაითვალისწინებენ: • გამოიყენონ საინტერესო, იშვიათად ხმარებული სიტყვები და ვრცელი წინადადებები • შეინარჩუნონ თხრობის სამნაწილიანობა • წინადადებათა შინაარსის გათვალისწინებით, შეარჩიონ სასვენი ნიშნები **აქტივობის მიზანი** • მოსწავლე შეძლებს ლექსიკის ცოდნის შემოქმედებითად გამოყენებას მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად. • მოსწავლე შეძლებს შეკუმშულად, მოკლედ გადმოცემული ამბის გავრცობას.